კვირა, 16 დეკემბ. 1907 წ.

# ისარი

წელიწადი პირველი №—278

გაზეთი «ისარი» ერთის წლით ღირს ტფილისში 7 მან., ნახევარი წლით—4 მან., ერთის თვით ტფილისში—75 კაპ. ტფილისს გარედ—80 კაპ. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 5 საათამდე ღირს 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «ისრის» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია დიდხანს არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და ... წერილობით პასუხისათვის საჭიროა ხაფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან—40 კაპ.

**ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.**

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, ელისაბედის ქუჩა, № 1.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, редакція «ИСАРИ»**

## ყოველ დღიური გაზეთი

# „ისარი"

## მიიღება ხელის-მოწერა 1908 წლისათვის.

გაზეთის ფასი: წლით როგორც ქალაქში, ისე ქალაქს გარედ—7 მანეთი.

ნახევარი წლით „ „ „ „—4 მანეთი.

ერთი თვით „ „ „ „—90 კაპ.

**დღევანდელ ნომერთან ერთად ირიგდება „რუსეთ-ამერიკის რეზინის ნაწარმოებთა ამხანაგობის" განცხადება.**

11 ქრისტეშობისთვეს ღამის 1 საათზედ ხან-მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პოლკოვნიკი

## ალექსანდრე ნიკოლოზის ძე არდაზიანი,

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ღედა განსვენებულისა **ნინო პეტრეს ასული**, ძმები **გიორგი** და **ზაქარია** და დები **ნატალია მესხისა, ანნა და სოფიო.**

პანაშვიდები ყოველ დღე დილის 12 ს. და საღამოს 7 საათ. გამოსვენება კვირას, 16 ქრისტეშობისთვეს, დილის 10 საათზედ (საკუთარ სახლიდან 1 საპიორნის ტუპიკი, № 4.) და დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზედ. (2—506—2)

**ქრისტინე, ნოე და გულჩინა ჟორდანიები** დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთ და ამხანაგთ გარდაცვალებას: პირველი—მეუღლის, ხოლო მეორისა და მესამის—მამის

## ნიკო ჟორდანიასას

დაბა ლანჩხუთში. (1—1)

**დილით ✦ ქართული წარმოდგენა არტისტიულ საზ. თეატრში ✦ დილით**

კვირას, 16 დეკემბერს 1907 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

**✦✦ იაფ ფასიანი წარმოდგენა ✦✦**

## მ ე ფ ე

პიესა 4 მოქმედებად, იუშკევიჩისა,

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ო. ლეჟავა, ბ. ნებიერიძისა; ბ-ნნი ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ი. ქივიძე, კ. ყიფიანი, დ. ჩარკვიანი და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი სწორედ დილის $12^1/_2$ საათზე.

მორიგი წევრი გამგეობისა **ივ. გომართელი.** რეჟისორი **ვ. გუნია.**

**ტფილისის სახაზინო თეატრი. ოპერის არტისტთა ამხანაგობა**

**კვირას, 16 დეკემბერს**, ცნობ. ტენორის ვინ. კოპპოლას მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

## „ტ ო ს კ ა"

ოპერა 3 მოქმედ. მუსიკა პუჩჩინისა.

მონაწ. იღებენ: ქ-ნი მარკოვა; ბ-ნნი გავრილოვი, გრინევი, უხოვი, ენგელ-კრონი.

კაპელმეისტერი: **გოლდინგერი.** დასაწყისი 8 საათზე.

**ანონსი**: 17 დეკ. ვაჟთა მე-4 გიმნ. ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ „ლაკმე" და ბალეტი. (0—21)

## მოსკოვის საფაბრიკო მაღაზია

მამაკაცების, დედა-კაცების და ბავშვების დამზადებულ ტანისამოსისა

# „მექსელანსი"

გოლოვინის პროსპ., მანთაშოვის სახ. საზოგ. საკრებულოს ქვემოდ

## აცხადებს,

რომ, „მექსელანსის" ამხ—ბის გამგეობისაგან მიღებულ განკარგულებით, ყველა საქონლის ფასები

## დაკლებულია

მომავალ დღესასწაულებისთვის მიღებულ იქნა დიდ-ძალი პიჯაკები, ვიზიტკები, სერთუკები და ფრაკები, შარვლები, ჟილეტები „ფანტაზია", ქალებისა და ვაჟების გაუქლენთავი წამოსასხამები, პალტოები საზამთრო კარაკულის ტყავის საყელოთი, ფორმები ყველა სასწავლებლის ტანისამოსისა; რუსეთის და საზღვარ-გარეთის მატერიებისა; აგრეთვე ქალების ტანისამოსი უკანასკნელ მოდებისა. დიდ-ძალი პლიუშის ჟაკეტები.

## ფასები საქარხნო და შეუდარებელი

„მექსელანსის" ამ—ბამ კრივოიროგის გამოფენაზე მიიღო

## ოქროს მედალი

(10—493—2)

## ს ა ხ ა ლ ხ ო უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი ს

**ქართული სექცია**. 1. კვირას, 16 დეკემბერს, დილის 11 საათ.. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში პეტრე სურგულაძე ქართულად წაიკითხავს ლექციას ამ სათაურით: „სახალხო განათლება სკოლის გარეშე".

2. ამავე სახლში, კვირას, 4 საათზე ექიმი ივ. გომართელი ქართულად წაიკითხავს ლექციას: „თავის ტვინი და მისი მნიშვნელობა ადამიანის ფსიხიურ ცხოვრებაში". (3—3)

ქ შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

## წლიური კრების

**გ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ა**

დანიშნულია კვირას, 16 ამ თვეს ტფილისის **სათ.-აზნ.** ბანკის სადგომში. კრება დაიწყება დილის 11 საათზე. (2—2)

ე ქ ი მ ი

**გ. ნ. მაგაკიანი**

იღებს ავადმყოფებს **შინაგან და ბავშვებისას.** სპეციალური ექიმია **გულის და ნაწლავებისა.** მიღება: დილით 12—1 ს., საღამოთი 5—7 ს. მიხეილის პროს. № 36, სახ. ჭავჭავაძისა(25—წლ.

**ქუთაისში**

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი

ს. ი. კერესელიძე

გადავიდა **გეგუთის ქუჩაზე** პ. რუხაძის სახლში, (25—ფ.—15)

ე ქ ი მ ი

**ა. ნ. დ ი ა ს ა მ ი ძ ე**

**კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს**

იღებს ყოველდღე შუადღის 12—1 საათამდე. საღამოთი 6—8 საათმდე. ხუთშაბათობით მხოლოთ დილით 8—9-დე. კვირაობით ავადმყოფებს **არ** მიიღებს. **ყორღანოვის** ქუჩა № 14.

**ქუთაისში**

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი ქ ა ლ ი

**ე. დ. ნ ა ს ა რ ი ძ ე**

იღებს ავათმყოფებს ექიმ ნასარიძის ბინაზე. (346)

## ძმ. ნიკიტინების ცირკი.



16 დეკემბერს, 1907 წელს, **ორი დიდი წარმოდგენა**. დილით დაკლებ. **ფასებით**, დასაწყ. 2 საათზე. სამი განყოფილება. ყველას მონაწილეობა. საღამოთი დიდი წარმოდგენა განსაკუთრებულის პროგრამით. მონაწილეობენ საუკეთესო არტისტები პეტრე ნიკიტინის მეთაურობით. სხვათა შორის ჰაერში ფრენა ტრიო დერენსისა. ლასასრულ ახალი ფანტასტიური ფეერია. დასაწყისი $8^1/_2$ საათზე. კასსა ღიაა 11-დან 2 საათამდე და 5-დან წარმოდგენის გათავებამდე. დაწვრილებით პროგრამებში. მზადდება წარმოსადგენად ფანტასტიური ფეერი. დირექტორი **აკიმ ნიკიტინი**. (1—513—1)

ბავშვთა იაფ-ფასიანი და უზრუნველ-ყოფილ აღზრდა-განათლების საზრუნველოს სასარგებლოდ გამართული იქნება კვირას, 16 დეკემბერს, ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში

## დიდი სეირნობა

### ლატარია-ალლეგრით.

საშობაო დიდი ფერხული: „ყინვის პაპა", ანგელოზები, მტრედები, პეიზაჟები, პეიზაკები, კლოუნები, ალქაჯები, ბადიანები და სხვა და სხვა. **მკითხველს** ფეშქაშები. ხორო მომღერალთა, ბალალაიკების, მერიკის და მანდალინებისა. „კოტოკი" გრამოფონი. გაიყიდება კონფეტები, ყვავილები, კონფექტები, ფოსტა და ბუფეტი. (5-5)

**გ ა ი ხ ს ნ ა**

## დურგალთა პროფესიონალური ბიურო

გუბერნატორის მიერ ნება დართული, ბიურო იღებს სადურგლო საქმეებს ხელმისაცემ ფასებში ნარდად, ნაჭრობით, და დღიურად. დღიურ მუშის ფასი გაყოფილია ოთხ კატეგორიად. ბიურო უდგება თავდებად ყველა თავის წევრს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამუშაო მიღებულია ბიუროს შუამდგომლობით.

ბიუროს ადრესი: მესამე საპოლიციო ნაწილი, რუსისა და ვანქის ქუჩების კუთხე, სახლი სომხურ სემინარიისა ზემო სართული. ბიურო ღიაა მუდამ დღე დილის 7 საათიდან შუადღის 3 საათამდე. (0—382—15)

## იაროსლავის მაღაზია

გოლოვინის პროსპ., სახაზინო თეატრის მახლობლად, „ბოიარსკის" სასტუმროს პირდაპირ, სახლი სტეფანოვისა.

## მხოლოდ ათის დღით

**17, 18, 19, 20, 21, 22** და **24** დეკემბრისთვის.

დღესასწაულის წინ, დანიშნულია

## დიდი იაფობა

## დარჩენილ საქონლისა

მოვიდა მთავარ საწყობიდან შალის საქონელი, ბამბაზია, ფერადი სატინი, სარფინკა, ფულიარ აქსფოსტი, ტილო, თბილი საბნები, ჩულქები, სუფრა-სალფეტკი, საფარდე ტიული. (1—510—1)

რადგან ამ ბოლო დროს გახშირდა გადმოსახლება შორაპნისა და გორის მაზრებიდან საერთო ვაჩნაძეებისა და აბხაზიანთ მამულში, რომელიც მდებარეობს სიღნაღის მაზრაში ალაზან გაღმა, ამით გამგეობა ზემოხსენებულ მემამულეთა ამხანაგობისა აცხადებს საყოველთაოდ, რომ საზოგადო კრების დადგენილებით, დასახლება ალაზან გაღმა მამულებში აკრძალულია. (2—512—1)

## ტფილისის „სობრანიე"

ტფილისის „სობრანიეს" მამასახლისთა საბჭო აუწყებს ბ-ნთ წევრებსა და კანდიდატებს, რომ 20 დეკემბერს 1907 წ. დანიშნულია საზოგადო კრება, რომელმაც უნდა განიხილოს წარსულ კრებაზე დარჩენილი საკითხები, გარდა საკითხის შესახებ სომხეთა განსვენებულ კათალიკოსის სახელზე სტიპენდიის დაარსებისა. ამავე კრებაზე კენჭს უყრიან კლუბის ახალ კანდიდატებს. (3—510—1)

კბილის ექიმი

**ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12, სახლი მდივნისა. (64)

**ყურის, ცხვირის და ყელის ექიმი**

**ნ. ა. ატენიანცი**

იღებს ყოველდღე ავადმყოფებს შუადღის 12—2 ს., საღამოთი 5—7 საათამდე, მიხაილოვის ქუჩა № 114 „მეტცელის" სასტუმროს პირდაპირ. (50—385—43)

**ქ. თ ე ლ ა ვ შ ი**

ექიმი

**ნ. გ. მრევლოვი,**

მასწავლებლად ნამყოფი კიევის ქალაქის საზებიო სასწავლებელში და ინტერნად მზობიარეთა სახლში, მიიღებს ავადმყოფთ ყოველ დღე 9—12 საათამდის. ადრესი: ზ. მაჭავარიანის სახლი (ბატონის წყაროზე). (50—413—29)

## ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

**სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის**

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.

ტელეფონი № 481.

**ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.**

**რუდინსკი**—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 ს.

**რადეცკი**—კანისა, ვენ., სიფილ. ყოველ დღე $1^1/_2$—3 საათ.

**ანანოვსკი**—ყურისა, ყელ. და ცხვირ. ყოველ დღე 4—5 საათამდე.

**ერმოლაევი**—ბავშ. შინ. ყოველ დღე 1—12 ს.

**პავლოვსკი**—ქირურგ. ყოველ დღე 4—5 ს.

**ანპილოვი**—ყურისა, ყელ., ცხვ. ყოველ დღე $12^1/_2$—$1^1/_2$ ს. სამშაბ. და პარასკ. გარდა.

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბ., ოთხშ. პარასკ. კვირა 1—2 ს.

**ზოლოტოვი**—შინაგ. ჰიპნოზი ყოველ დღე 4—5 ს.

**გორბაჩევსკი**—შინაგ. ყოველ დღე $11^1/_2$—$1^1/_2$ საათ.

**ანანოვი**—ქალთა ავად. ყოველდღე 4—5 ს.

**ჩუდნოვსკი**—ნერვ., სულით, ელექტრ. ყოველ დღე 4—5 ს.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3 ს.

**ნოვიცკი**—ქალ., ბავშ. ყოველ 1—2 ს.

**ნეფშტროვი**—კბილისა, ყოველ დღე 10—12 და 3—5 ს.

**გორობცოვისა**—მასსაჟი. ყოველ დ. 12—1 ს.

**პივარსკი**—
**ჩუდნოვსკი**— | კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიმებისა და მოსამსახურეთ გასინჯვა შეთანხმებით. (100—6.—72)

ე ქ ი მ ი

**მ. მ ა შ ა კ ი ძ ე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—10)

## ქ. ქუთაისში

**ე ქ ი მ ი ჯ ა ფ ა რ ი ძ ე**

იღებს ყურით, ყელით, ცხვირით და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს. ტფილისის ქუჩა, სახლი თ. ნიჟარაძისა. (50—6.—26)

თვალის ექიმი

**ზ. მ. ცხვედაძე**

დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 6—7 ს. ვერა ოლღას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—475—12)

### ტფილისი, 16 დეკემბერი.

დღეს „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" თავმჯდომარე და გამგეობის თორმეტი წევრი უნდა ავირჩიოთ. უკანასკნელი კვირა არჩევნების მოლოდინში გავატარეთ. ქართველ ხალხის კულტურულ აღორძინების მოტრფიალენი ნათლად ჰგრძნობენ, რა დიდი საქმე ედებათ კისრად იმათ, ვინც დღეს იქნებიან არჩეულნი. ყველასათვის, განურჩევლად პოლიტიკურის და სოციალურის იდეალებისა, ცხადია, რომ სახალხო განათლების საქმე საქართველოში კრიზისს განიცდის. ცხადია აგრეთვე, რომ თუ არ საზოგადოებრივი თვითმოქმედების სიმხურვალე, სხვა არაფერი უშველის ჩვენს გაბნეულს და აწეწილს საქმეებს. ამიტომ ეძიებენ, სამხრეთის მზის კაშკაშის მიუხედავად, სანთლით ხელში ეძიებენ ენერგიულ მოღვაწეებს...

ეძიებენ, მაგრამ იპოვნიან თუ ვერა?—ვეკითხებით ჩვენს თავს და ყურს უნებურად მოესმის უდაბნოდ ქცეულ ქვეყნის ყრუ ამოძახილი: „ვერა, ვერა"... ვინ გაჰზომავს, ვინ ამოიკითხავს, რამდენი ნაღველი აქვს ჩაქსოვილი ამ ყრუ ხმას! თითქოს რაღაც მავნე ბოროტი სული დასადგურებულაო მთელს ჩვენს ქვეყანაში, ყოველს ფიქრს, ყოველს ზრახვას ეროვნულ-კულტურულ აღორძინების შესახებ ბანს ეს ყრუ ნაღვლიანი ხმა აძლევს. ნუ თუ ეს სასოწარკვეთილების ბოროტი ხმა სიმართლის მღაღადებელია? ნუ თუ იგი სიბოროტე უძლეველია?—არა, არა და ათასჯერ არა! ზღვა კოვზით დაილევაო და განა რა ჭაობში უნდა იყოს ჩაფლული ჩვენი ქვეყანა, რომ იმისი ამოშრობა ვერ შესძლონ ხალხის სიყვარულის აგზნებულმა სხივებმა!.. ერი სიცოცხლისთვის იბრძვის და ბრძოლის ველიდან გონების თვალი განსჭვრეტს ხან გამარჯვებას, ხან დამარცხებას, ხან კულტურის აყვავებულ ეროვნულ წალკოტს, ხან არარაობას... რაც უფრო ღრმად განვიცდით ამ ბრძოლის ფსიხოლოგიას, მით უფრო შევიგუებთ ბრძოლის პირობებს, მით უფრო გავიადვილებთ მძიმე საქმის საკეთილო დაგვირგვინებას. ამიტომ, უშიშრად ვუსწორებთ თვალს ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობას და არც შემზარავ იარების გამოფენა გვაშინებს, არც ოდნავ მჩქეფ ნაკადულის ხილვა...

განვლილ დროების დაფასება, ისტორიულ საქმეთა განსჯა, ისტორიულ მსჯავრის გამოტანა—ეს ის მტკივნეული მშობიარობის პროცესსია, რომელიც წარსულს მყობადის დედად ჰქმნის. რაც უფრო სუსტია მშობიარე, მით სასტიკს ტანჯვას განიცდის იგი, ხოლო რაც მეტი სიცოცხლის ძალა სჩანს ამ მტკივნეულ პროცესში, მით საიმედოა მყობადი... წარსულ კვირას ქართველურ ხალხის განათლების ჭირისუფლებმა საჯაროდ გამოიტანეს თავისი მსჯავრი „წერა-კითხვის საზოგადოების" წინანდელ მოქმედებაზე. ეს სასტიკი ისტორიული მსჯავრი იყო, სასტიკი არა იმიტომ, რომ ღრმად გამომზევებულიყო ქართველი საქმიანობის უმწეობა, არამედ იმიტომ, რომ წარსულ „საქმიანობას" დამცველი არ გაიჩნდა, ხოლო ისტორიულ მსჯავრის დამდებნი კმაყოფილებას ჰგრძნობდნენ გამაბრუებელ კრიტიკის მსახრავ ძლიერებისა გამო და იმის სასტიკ სილამაზით დამთვრალნი ვეღარ ჰხედავდნენ იმას, რაც ამ კრიტიკის ერთად-ერთი საზოგადოებრივი ღირებულებაა—ვერა ჰხედავდნენ მომავალს. გათავდა კრიტიკა, დასრულდა კრება და ის გულგრილნი, საზოგადო ქართული საქმის ჭირისუფალნი, რომელნიც ამ დღეს, კრიტიკის ეფექტებით გატაცებულნი, აღგზნებული ჰშოლტავდნენ ერთმანეთს, ეხლა ერთად დაეძებენ ენერგიულ მოღვაწეებს, გამგეობის ენერგიულ თორმეტს წევრს. კრიტიკამ ერთს წამს კარტეხილი ასტეხა, მაგრამ კვლავ ერთ-სულოვანება ჰმეფობს, კვლავ იდილიური მთლიანობა იმათი, ვინც ამ კრიტიკის დროს შეურიგებელ მოპირდაპირეებს ჰგავნდნენ... ყველანი თანახმანი არიან, ყველას ერთი სურვილი აქვს—იპოვონ გამგეობის თორმეტი ენერგიული წევრი... საზოგადოებრივ გრიგალისა და კრიტიკის თარეშმა მხოლოდ ეს მცონარე პრინციპი მოგვცა მომავალ მოქმედების სახელმძღვანელოდ—„ენერგიულ წევრების არჩევა". თითქოს ენერგია რაღაც იდუმალი საჩუქარი იყოს, რომელიც ერთს მინიჭებული აქვს ბუნების მიერ, ხოლო მეორეს—არა, დადიან ქართულ კულტურის მოტრფიალენი და ეძიებენ „ენერგიულ მოღვაწეებს".

ყალბი გზაა. ენერგიას საქმით ვიცნობთ და არა საქმეს ენერგიით. ენერგია უსაქმოდ მკვდარია, საქმე კი ენერგიის განმახორციელებელია. ენერგიის ძებნა ალქიმიის ფილოსოფიური ქვის ძებნაა, იგი ფუჭია და უნაყოფო. „ენერგიულ წევრების არჩევა"—ეს ზოგადი და უშინაარსო პრინციპი მალამოდ ვერ გამოადგება ხალხის სიბნელეს, იგი უმეცრების წყვდიადს ვერ გაანათებს. ამ პრინციპს ახალიც არაფერი ურევია, წინადაც ყოველთვის „ენერგიული წევრები" იურჩევიათ, მაგრამ მათს ენერგიას დღემდე არაფერი არ დაუთესია.

კმარა, გვეყო ეს დაუსრულებელი მცონარეობა! გვეყო ისეთ ფართო პრინციპების წინ წამოყენება, რომელთაც გადამეტებულის სიფართოვისა გამო აღარაფერი შინაარსი აღარა ჰრჩებათ. მცონარე უმოქმედობის დრომ განვლო, და დგა ხანა პრაქტიკულ საქმიანობისა; ასეთ საქმიანობისთვის კი საჭიროა კონკრეტულად დასახული მახლობელი მიზანი და ამ მიზნის განმახორციელებელი ღონისძიებანი. საზოგადოება უნდა ავალებდეს იმ პირთ, რომელთაც გამგეობის წევრებად ირჩევს იგი დღეს, არა იმას, რომ იგინი „ენერგიულნი" იყვნენ, არამედ კონკრეტულად განსაზღვრულ საქმის ასრულებას. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება გაიზარდოს ყოველი საზოგადოებრივი საქმე, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება აჰყვავდეს „წ.-კ. საზოგადოების" მოქმედებაც. საზოგადოებრივის კრიტიკასაც მაშინ და მხოლოდ მაშინ აქვს ფასი, თუ იგი თავის გამანადგურებელის მჭევრმეტყველებით რაიმე ცხოველმყოფელ კონკრეტულ საქმიანობას უკაფავს გზას, და არა მაშინ, როცა იგი უკანასკნელ ანდერძს უგებს საზოგადოებრივობის გაციებულს გვამს. კრიტიკა შემოქმედებითი უნდა იყოს და არა გაკაჟებული მოთქმა უნუგეშო ჭირისუფლისა. დეე, გაჩნდეს პარტიობა, ჩვენ ამისი არ გვეშინიან. სადაც საზოგადოებრივობაა, იქ ყოველთვის პარტიობაც არის. პარტიობას ზარალი მოაქვს მაშინ, როცა იგი შეხამებული არ არის სამოქმედო ასპარეზის განსაკუთრებითს თვისებებთან, სხვა დროს იგი სასარგებლოა. თუ სახალხო განათლების საკითხები ჩვენს საზოგადოებას რამდენსამე ნაწილად გაჰყოფენ, დეე თითოეულმა მიმართულებამ გამარჯვების მოსაპოებლად ორგანიზაციონური მოქმედება დაიწყოს—ეს საზიანო არ იქნება. საზიანო ის იქნება, თუ პოლიტიკურ ბრძოლის გადმოტანა განიზრახეს პარტიებმა ისეთს ნიადაგზე, როგორც სახალხო განათლებაა.

ჩვენს „წ. კ. საზოგადოებაში" ჯერჯერობით არც მიმართულებათა განსაზღვრული სხვადასხვაობა სჩანს და ამიტომ არც არავითარი პარტიობა, მადლობა ღმერთს! პარტიობას „წ. კ. საზოგადოების" საქმეებში წინ უნდა უძღოდეს შემოქმედებითი საზოგადოებრივი კრიტიკა, ხოლო ეს კრიტიკა კი ჩვენი საზოგადოებისთვის ჯერ ისევ უცნობი ხილია. ეხლანდელ პირობებში პარტიული დროშით გამოსვლა დღევანდელ არჩევნებში საქმეს სულ ერთიან დაჰღუპავდა, მაგრამ ეს კიდევ იმას არა ჰნიშნავს, რომ ყველამ ერთად უნდა ვეძიოთ „ენერგიული მოღვაწეები" და ამაში ვპოვოთ ჩვენი საზოგადოებრივი სინიდისის დაკმაყოფილება. სრულიადაც არა! თუ მოხერხდა და რაიმე განსაზღვრული პროგრამის წამოყენება იკისრა დღევანდელ ამრჩეველთა რომელმამე ჯგუფმა, ეს გარემოება წინმსვლელობის მაჩვენებელი იქნება; იგი უფრო მეტს იმედს ჩაგვინერგავს გულში, ვიდრე „ენერგიულ წევრების" აღმოჩენა.

## ახალი ამბავი

—:—

✦ **დეპუტაცია ნამესტნიკთან** 14 დეკემბერს კავკასიის ნამესტნიკმა მიიღო სომეხთა დეპუტაცია, 30 კაცი. დეპუტაციამ ვრცელი მოხსენება წარუდგინა ნამესტნიკს დამშეულ სომეხთა შესახებ და სთხოვა, რომ: 1. მთავრობამ დამშეულ სომხებს 3½ მილიონი მანეთი მისცეს გამოსაკვებად; 2. გლეხებს მიეცეთ საზოგადო საქმეებზე სამუშაო; 3. დაეკლოს ტარიფი გადმოტანილ პურს; 4. ადგილობრივ დაარსდეს კომისიები დამშეულთა ყოფა-მდგომარეობის გამოსარკვევად და 5. დასცალდეს გლეხობას საადგილ-მამულო გადასახადების გადახდა. ნამესტნიკმა მოისმინა ყველაფერი და უპასუხა, რომ მას ძლიან აწუხებს დამშეულთა მდგომარეობა და იმედი აქვს, რომ მთავრობა მათთვის ფულსაც გადასდებს და სხვა მხრივაც დაეხმარება. დასასრულ, მან მოისურვა, რომ შეძლებულმა სომხებმაც გაიღონ რამე. დელეგატებმა უპასუხეს, რომ დღემდე მათ 300,000 მანეთზე მეტი შეაგროვეს, მაგრამ ეს თანხა არ გვეყოფაო. ნამესტნიკმა ერთხელ კიდევ აღუთქვა დახმარება.

✦ **წარმოდგენა.** დღეს, 16 დეკემბერს, დილის 12 საათზედ, საარტისტო საზოგადოების თეატრში ქართული დრამატიული დასი წარმოადგენს ცნობილს პიესას „მეფე"-ს იუშკევიჩისას.

✦ **ყელ გამოჭრილი პატიმარი.** 14 დეკემბერს, საღამოს 5 საათზედ მეტეხის ციხის ეზოში [illegible] პატიმარის [illegible] რილი გვამი. ჯერ ვერ გამოურკვევიათ, პატიმარს ვინ გამოსჭრა ყელი და ან რა მიზეზით.

✦ **შეკითხვა.** გუბერნატორი ამ დღეებში შეეკითხა თურმე ტფ. ქალაქის გამგეობას, მაცნობეთ, რა საფუძვლით გადაუწყვეტიათ შეწევნის აღმოჩენა თქვენ მიერვე სამსახურიდან დათხოვნილ ბერთოლს ვართანიანცს და რა წყაროდან შეგიძლიანთ მისცეთ ეს ფულიო.

✦ **რა იხარჯება ქალაქის სოაელე მოსამსახურეებზე?** როგორც ტფ. ქალაქის საბუხჰალტერო განყოფილების ცნობებიდანა სჩანს, ყოველ წლობით თვითმმართველობის მოხელეთა ჯამაგირებზე იხარჯება 525,023 მან. ქალაქის ბიუჯეტი 2,400000 მან. არ აღემატება, ასე რომ ბიუჯეტის მესამედზე მეტი მოხელეებზე იხარჯება. საქმის მოყვარე კაცი დაიჩქარებდა მოხელეთა განზრახულ შტატის გადასინჯვას და საბოლოვოდ გამოარკვევდა, რაში და რად იხარჯება ამდენი ფული.

✦ **უმაღლეს კურსებზე.** ამ დღეებში ჩამოვა მოსკოვიდან პროფ. ა. ს. ხახანაშვილი და წაიკითხავს 11 ლექციას (ქართულ მწერლობის ისტორიას) უმაღლესს კურსებზე კავკასიის შესასწავლად (ალექსანდრ ბაღი). პირველი ლექცია დანიშნულია პარასკევს, 21 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე. იმავ კურსებზე, დღეს, 12 საათზე, ა. ვ. ფომინი წაიკითხავს ლექციას ბოტანიკაზე.

✦ **წ.-კ. საზოგადოების კრება.** დღეს 16 დეკემბრის დილის 10 საათისათვის ტფ. სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში დანიშნულია „ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზოგადოების" კრების გაგრძელება. კრებამ უნდა განიხილოს პროექტი საზოგადოების განყოფილებების წესდებისა. ამავე კრებაზედ უნდა აირჩიონ საზოგადოების თავმჯდომარე, გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრნი.

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** დღეს ზუბალაშვილის სახალხო სახლში ლექციას ქართულად წაიკითხავენ ბ-ნნი: ექიმი ივ. გომართელი და პეტ. სურგულაძე, ხოლო სომხურად, 1 საათიდან გ. ხიჯაკი.

✦ **დაპატიმრებულნი.** 14 დეკემბერს მეტეხის ციხიდან გაანთავისუფლეს ამ დღეებში დაპატიმრებული ნაფიცი ვექილი ხმოსანი ნ. ზ. ელიავა. ნაწილი იმის სახლიდან წაღებულ ბიბლიოთეკისა დაა

# ფელეტონი

## კედლებში

(გვიერი)

ისინი ხუთნი იყვნენ. ორს თოფები ჰქონდა, ხოლო დანარჩენთ რევოლვერები. ამის გარდა, პეტროვს კიდევ რაღაც საგანი გააჩნდა: პატარა ნივთი, მოგრძო, ლითონისა, რომელიც მკრთალად ბზინავდა. პეტროვს ისე ფრთხილად მიჰქონდა, გეგონებოდათ პატარა ბავშვი მიჰყავსო.

როდესაც სახლში შევიდნენ, ღამის ორი საათი იქნებოდა. ამხანაგები მეორე სართულისაკენ გაემართნენ. იქ ოთახის კარები ღია დაუხვდათ და შიგ შევიდნენ. გესსელმა სიბნელეში წაიბორძიკა და სკამი წააქცია, რის გამოც მყუდროება შესამჩნევად დაირღვა.

პეტროვმა წუმწუმა აანთო. ყველანი შემდეგ ოთახში გავიდნენ, იქიდან მესამეში, რომელიც ქუჩის პირად იყო და ზედ გადმოსცქეროდა. ამ ოთახში ავეჯი უწეს-რიგოდ ეყარა, მაგიდაზედ ეგდო წიგნი, გვერდით ჭიქა დაუთავებელის ჩაით. იატაკზედ პაწია ბაწარი და ქაღალდის ნაგლეჯები ეყარა. როგორც ეტყობოდა, იმ ოთახში მცხოვრებნი სადღაც მიეჩქარებოდნენ.

ჰერკულესივით უშველებელმა კალაჩევმა ირგვლივ ყურადღებით მიმოიხედა და მეორე ოთახში გავიდა, საიდანაც ცოტა ხნის შემდეგ ჩუმი ყვირილი მოისმა. ამ ხმას იმავ წუთში კალაჩევის ტლანქი ხმაც მოჰყვა:

—ნუ გეშინიან, გეყურება თუ არა, ნუ გეშინიან.

კალაჩევი მალე უკან შემობრუნდა. მას შემოჰყვა ახალგაზდა ქალი, რომელიც შიშითა და კანკალით აქეთ-იქით იხედებოდა.

—ჩემო თვალის სინათლევ, ნუ მომკლავთ, ღვთის გულისათვის, ნუ მომკლავთ.

—თქვენ ვინა ხართ?

—მოსამსახურე. ბატონები წავიდნენ და მე კი აქ დამტოვეს. კარებები ერთავად ღია მქონდა, რადგან ამბობდნენ, ვინც ჰკეტავს, ყველას ცეცხლს უკიდებენო.

—ნუ გეშინია, ჩვენ მებრძოლი რაზმი ვართ,—წყნარად უპასუხა კალაჩევმა, მივიდა ფანჯარასთან და ფარდა ჩამოჰგლიჯა. ფანჯარა ძნელად იღებოდა. საგოზველი გამხმარიყო და ჩარჩოს ჭრიალი გაჰქონდა.

ქუჩა სიბნელით იყო მოცული. ქვემოდან მოისმოდა, როგორ აჩქარებით სჩეხავდნენ რაღაცას, ცოტა ხნის შემდეგ რკინისებურის ჩხარუნით რაღაცა უშველებელი გადაწვა და ვიღასიც ბოხმა ხმა მაღლა შეჰყვირა „მედგრად!" ბარიკადა იდგმოდა.

უეცრად, შორს, ჰორიზონტი გაწითლდა და ცა მკრთალ ვარდის-ფრად შეჰღება. ეს სასიამოვნო ფერი ოთახებში იჭრებოდა და სანთლის მიერ გამოცემულ ყვითელ ფერს უცნაურად უერთდებოდა.

—შენ რომ წახვიდე, უკეთესი იქნება,—წარმოსთქვა სუსტმა ადამიანმა, რომელიც კუთხეში ერთავად ჩუმად იდგა და შავ პურის გამხმარ კუტს ხარბად ღოღნიდა.—ჩქარა სროლა უნდა დავიწყოთ.

შეშინებულმა მაშამ მოლაპარაკეს შეხედა, მაგრამ პასუხი კი არ გასცა.

—წადი!—თითქოს ბრძანების კილოთი გაუმეორა პეტროვმა.

—მე ვერსად წავალ,—დამშვიდებით უპასუხა მაშამ.—მეშინიან, თქვენთან დარჩენა მირჩევნიან.

—წადი მეთქი!—დაჟინებით იმეორებდა პეტროვი.

მაგრამ მაშა კედელს მაგრა მიჰკროდა და წასვლა ფიქრადაც არ მოსდიოდა. ცა ნელ-ნელა ლურჯმა ფერმა მოიცვა. პირდაპირ, ოდნავ მომჩინრად, გამოურკვევლად სახლი გამოიხატა. გამოჩნდა აგრეთვე, თუ როგორ ფუსფუსობდა ხალხი, ერთი მეორეზედ დაყრილ ხეებსა, კარებებსა და ტრამვაის ვაგონებს იქით. აივნის შუა გულში უშველებელი წითელი დროშა ეკიდა, რომელიც ბინდ-ბუნდისაგან შავად მოსჩანდა.

შორიდან ფეხის ხმა მოისმა და ეტლების თვლებმა დაიგრიალა. ამას მოჰყვა მხოლოდ ერთი თოფის ხმა, შემდეგ კი ერთბაშად სროლამ ისე დაიგრიალა, გეგონებოდათ იატაკზედ მუხუდო გადაჰბნისო.

—იწყება,—წამოილაპარაკა აღელვებულმა გესსელმა, თავი ფანჯრიდან გადაჰყო და ძირს ხმა მაღლა ჩასძახა:

—მედგრად, ამხანაგებო!

—გავწყდებით თავისუფლებისათვის! ვიღამაც მხნედ და სიხარულით ამოსძახა ქვემოდან, და ამასთან ბრბოს მძლავრი გუგუნიც მოისმა.

სროლის ხმა თან და თან ახლოვდებოდა. სახლის კუთხიდან ნაცრის ფერი შინელი გამოჩნდა და ისევ ჩქარა მიიმალა. ცოტა ხნის შემდეგ რაღაცამ მძიმედ დაიგრიალა და იარაღმა შორს ბზინვა დაიწყო. ნაცრის ფერი შინელები კვლავ აირივნენ.

ბარიკადიდან ვიღაცის ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხმა მოისმა, რომელსაც თავზედ ცეცხლის ალმა გადაურბინა. იარაღი ზარსავით წკრიალებდა. ბოლი, ქვები და ხის ნამტვრევები ჰაერში დაფრიალებდნენ. თოფის სროლის ხმა შეუწყვეტლივ გრიალებდა. უცებ, იქიდან ქუხილისებური ხმა მოისმა:

—გაუმარჯოს რევოლიუციას!!

კავალერია თქარა-თქურითა და წკრიალით გაექანა იმ ხმისაკენ. ცხენები მართულებს ეხეთქებოდნენ და იქცეოდნენ; იქცეოდნენ ადამიანებიც. ყოველ კუთხეში, ყოველ ქუჩაში ნაცრის ფერი შინელები მოსჩანდნენ და თოფებისაგან გამოცემული ცეცხლი მხიარულად ბზინავდა.

პეტროვი კარებს ამოჰფარებოდა და იქიდან ზედი-ზედ არხეინად ისროდა.

—ფრთხილად!—შეჰყვირა შეშინებულმა გესსელმა,—იარაღი ჩვენსკენ გამოაშვირეს.

ზარბაზანმა ხმა მაღლა ამოიხვნეშა და კედლებმა მგონი ნგრევა დაიწყო. შიგ მყოფთ თვალები, პირი, ცხვირი სულ მტვრით გამოევსოთ.

როდესაც პეტროვმა ირგვლივ მიმოიხედა, გესსელი თავის გვერდზედ ვეღარა ნახა. უკვე კუთხეში ეგდო, დაერთოლებული ხელი გვერდზედ მაგრა მიეჭირა და გულ-შესაზარავად კვნესოდა.

ამ კვნესის ხმა ადამიანს გულში წვეტიან ნემსებისავით ესობოდა.

—ახლა კი დროა!—შეჰყვირა კალაჩევმა, ხელი წაავლო იმ გრძელ ნივთს და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ძირს, ნაცრის ფერ ბრბოსაკენ გადასტყორცნა.

ყუმბარის აფეთქების ხმასთან ერთად გაშმაგებულ ბრბოს ღრიალიც მოისმა... მაგრამ... ადამიანები თან და თან ემატებოდნენ. ბარიკადა ნელ-ნელა ინგრეოდა. დროშა კი ჯერ ისევ ფრიალებდა კედელზედ. ძლიერ ხმას გულ-მოსულად, გაშმაგებით გაჰქონდა გრიალი:

—გაუმარჯოს რევოლიუციას!!

—გაუმარჯოს...—უნდა დეყვირა პეტროვის პატარა ამხანაგსაც, მაგრამ უეცრად უგვანოდ გადაშალა ხელები და უსულოდ ძირს დაეცა.

—პატრონები მომაწოდეთ! პატრონები!!—გახრინწიანებულის ხმით ყვიროდა კალაჩევი, მაგრამ პატრონები აღარსად იყო...

ქვეით ბრაგა-ბრუგი ასტყდა: ზევით მირბოდნენ. კარგად ისმოდა კარებების მტვრევისა და ჯარის-კაცთა ფეხის ხმა.

—კონდახები დაუშინეთ! კონდახებით!

—ნუ დაინდობთ მაგ საძაგლებს!—ღრიალებდა ვიღაც კიბიდან.

შეინგრა ოთახის კარები და შიგ ხმალამოღებული ჯარის-კაცი შევარდა.

—გაუმარჯოს რევოლიუციას!—ამის დაყვირება მოასწრო პეტროვმა. იმან კარგად დაინახა, თუ კუთხეში როგორის სიმძლავრით დაარტყეს მაშას თავში კონდახი და შემდეგ თითონაც ძირს დაეცა თავ-გაჩეხილი.

—

მოხუცი სარდალი მძიმედ სუნთქავდა. ხელები შესამჩნევად უკანკალებდა და პაპიროსი მალ-მალ უქრებოდა.

—ყველანი ერთად შეაგროვეთ,—მიუთითა მან ცხოცილებზედ,—დაჭრილებისათვის კი ჩქარა ურემი მოამზადეთ.

ერთი უზარ-მაზარი ახალგაზდა ჯარის-კაცი მაშასთან მივიდა, წაავლო მკლავში ხელი და წაათრია.

თმები გაუფრიალდა და თავი იატაკზედ ეხეთქებოდა. ჯარის-კაცმა შემთხვევით შეხედა მაშას გასისხლიანებულ დამტვრეულ სახეს და შეჩერდა.

—ეს ხომ მაშაა, ტიმოფეევკიდან...

მას ქარიშხალსავით თვალ წინ გაურბოლა თავის სოფლის სურათმა, ზაფხულის საღამოებმა, გოგოებთან „ვიწვი-ვიწვის" თამაშმა, და ამ გოგოებს შორის მაშას სახემაც.

მან ძირს დაუშვა მაშას უსიცოცხლო მკლავები და განშორდა.

და პირველად იყო, რომ იმის მძიმე, განუვითარებელ ტვინში, ნაწყვეტ ნაწყვეტ ფრაზებთან ერთად „მეფისთვის, მამულისათვის" ამოძრავდა მეორე აზრიც და მრისხანე მოჩვენებასავით წინ წამოუდგა კითხვა: „ჩვენებს, ჩვენ მინაგვარ ადამიანებს რისათვის ვხოცავთ?"

მაგრამ წითელი ბურუსი ნებას არ აძლევდა ამაზედ დაფიქრებულიყო.

დ. ყლიაშვილი.

გრუნეს. გამგეობის დაპატიმრებულ მოხელეთა ბესელიძისა, მამულაშვილისა და განკევიჩივისათვის ჯერ, როგორც შევიტყეთ, ჩვენება არ ჩამოურთმევიათ.

✦ **კარგი მაგალითი.** ადამ ზურ. ბერელაშვილმა წერა-კითხვ. საზ. კასაში შეიტანა 90 მან. მთელი ვალი თავის საწევრო გადასახადისა.

✦ **გადასახლებულის გარდაცვ ლება.** როგორც გვატყობინებენ, 5 დეკემბერს რიაზანის გუბერნიის ქალაქ რიაჟსკის საპყრობილეში უეცრად გარდაცვლილა ადმინისტრაციის წესით გადასახლებული იასონ რუხაძე. განსვენებული ორენბურგის გუბერნიაში ყოფილა გადასახლებული.

✦ **დღეს, 16 დეკემბერს, საღამოს 7 საათისთვის, დანიშნულია კრება ტფილისის ახალ კლუბის წევრთა. არჩეული იქნება სარევიზიო კომისია და წევრნი კლუბის საბჭოსი. ამავე კრებაზედ განიხილავენ მოხსენებას კლუბისათვის სადგომის დაქირავების შესახებ.**

✦ დამოვნის ქუჩაზე 18 დეკემბერს ელექტრონის ვაგონის მიერ გასრესილი კაცი აღმოჩნდა ყაზახის მაზრის მცხოვრები პოღოს დარპინიანცი.

## სიბინძურის გამომზევება

ქართულ პუბლიცისტიკას აკლდა სიბინძურით აღსავსე გაზეთი და ისიც მიემატა. ამ გაზეთს „ცის ნამი" ჰქვია. სრული არარაობა და გონებრივი სიკოტრე—აი მთელი ავლა-დიდება ამ ახალ გაზეთისა. ვისაც ეჭვი დაებადება და იფიქრებს, რომ მე სწორედ არ დავახასიათე გაზეთი, წაიკითხოს მე-8-ე ნომერი და ამაშიაც დარწმუნდება. გაჰქრა „წყარო"-ს მიერ ცოტა-ხნობით შექმნილი იდილია, კეთილ-სინიდისიერი კვლევა-ძიება და კეთილ-შობილური განხილვა სადაო საკითხებისა, თითქოს მოსწყინდათ სოციალ-დემოკრატებს და კვლავ გამოამზევეს თავიანთი დემაგოგიური ფრაზეოლოგია, აღსავსე ყოველნაირ უაზრობით, ულოღიკობითა და უმეცრებით. არსებითად პასუხს „ცის ნამი"-ს პუბლიცისტებს თავის დღეში არ გავცემთ; ჩვენ მხოლოდ მაშინ გამოვეკამათებით მოწინააღმდეგეებს, როდესაც მათში სერიოზულად მომზადებულ მოპირდაპირეს დავინახავთ და არა „შემთხვევით გაპუბლიცისტებულ" მწერლებს, რომელთაც გახრწნილობა შეაქვთ მწერლობაში და თავიანთ უნიჭო, გონიერებას მოკლებულ წერილებით ხალხს გონებას უბნელებენ.

რომ უფრო ნათლად წარმოიდგინოს მკითხველმა, რა ჯურის მწერლებს ეკუთვნიან „ცის ნამის" პუბლიცისტები, რამდენსამე ადგილს მოვიყვან მე-8 ნომრის მეთაურიდან: „არსებითად სოციალ-დემოკრატია იყო და არის ადგილობრივ ფართო თვითმართველობის მომხრე, რასაც ყოველთვის საჯაროდ ჩაგჩიჩინებდნენ, მაგრამ თქვენ მიამიტ გონებას ვერა შეასმინეს რა. მაშინ „ავტონომიაში" ხედავდით რაღაც ბურუსით მოცულ, ჯადოსნურ ჯანაოს—ექიმს, რომელიც დაბადებისთანავე მოჰფენდა **ქვეყანას წარსულ, დაკარგულ ბედნიერებას და დაამყარებდა კაცთა შორის თანასწორობას***) მაგრამ, როდესაც თქვენ სოციალ-დემოკრატიულმა პრესამ იმდენი გიქიმუნჯათ, იმდენი გიჩიჩინათ, რომ თვალი გაგახელინათ საქმის ნამდვილ მნიშვნელობაზე, **როდესაც თქვენს გონებაში მათ მოამწიფეს უნიადაგობა განცალკევებისა და მავნებლობა ბაბილონის გოდოლის აგებისა**, როდესაც ჩაგიკვეხეს, რომ სადღეისო ბრძოლაში, ბრძოლაში მთლიანი იერიშია საჭირო მთელ სახელმწიფოში და თქვენც იწამეთ დიდი ხნის საწამებელი, მაშინ, და მხოლოდ მაშინ გვითხრეს, **რომ ჩვენი ფართე თვით-მმართველობა იგივეა, რაც ირლანდიის მომრული, რაც ავტონომია"**.

ხომ ნახე, მკითხველო? ჩვენ თურმე განცალკევებას ვთხოულობდით, და ამიტომ სოციალ-დემოკრატები გვიმალავდნენ, რომ მათი ფართო თვით-მართველობა ავტონომია იყო, ეხლა კი, როდესაც ჩვენ განცალკევებას კი არა ვთხოულობთ, არამედ ავტონომიას, სოციალ-დემოკრატებმაც გული გადაგვიშალეს და გვითხრეს, ნუ გეშინიანთ, ჩვენც ავტონომიის მომხრენი ვართო.

რა უნდა უთხრა ამისთანა მწერალს, ამისთანა პუბლიცისტს? საბუთები მოუყვანო? მერე გასჭრის ეს საბუთები. დაუმტკიცო სრული ულოღიკობა? ესეც არაფერს გიშველის, რადგან „ცის ნამის" პუბლიცისტებს რომ ლოღიკისა რამე გაეგებოდეთ, მაშინ ამისთანა სისულელეებსაც არ მოჩმახავდნენ. დაუმტკიცოთ სრული სალიტერატურო უვიცობა მათ საქციელისა? მაგრამ როგორ შეგიძლიანთ ელაპარაკოთ ამ საგანზე ისეთს ადამიანს, რომელმაც არ იცის, რომ უზნეობაა წერა იმაზე, რაზედაც არაფერი გაგეგება, უზნეობაა სხვის ჭკუის მასწავლებლობა მაშინ, როდესაც შენ თვითონ მოკლებული ხარ ჭკუასაც და აზროვნების უნარსაც.

როგორ უნდა ელაპარაკო ასეთს მწერალს, მკითხველო? შენ, მკითხველო, როგორც გინდა, ისე მოექეცი ამისთანა პუბლიცისტურ ნაწარმოებს, მე კი... მე ნაგვის გოდორში ვუკრავ თავს.

**შანშური.**

*) კურსივი ჩვენია.

## სამღვდელოების დეპუტატთა კრება.

### 14 დეკემბერი.

ამ დღეს კრება დაიწყო დილის $9^{1}/_{2}$ საათზედ. თავმჯდომარემ კრებას გააცნო ექსარხოსის რეზოლიუცია. როგორც აღვნიშნეთ, განსახილველ საგანთა სიის მეორე მუხლი შეეხება სასულიერო სასწავლებლებში სღვთისმეტყველო საგნების ქართულს ენაზე სწავლას. როგორც ამ საკითხის, ისე, სხვა საკითხების განხილვის დროს მცოდნე პირთა მოწვევის შესახებ კრების დადგენილება ექსარხოსს უარ უყვია იმ მოსაზრებით, რომ 1906 წ. სამღვდელოების დეპუტატების მიერ ამორჩეულ კომისიას ამ საგანზე ვრცელი მოხსენება აქვს შემუშავებული და მცოდნე პირნი საჭიროდ აღარ არიანო. კომისიას თავის მოხსენებაში სავალდებულოდ უცვნია სამშობლო ენა სასწავლებლებში, მაგრამ სინოდს გადაუწყვეტია: სამღვდელოებას მიეცეს ნება ქართულად მოაწყოს სწავლა სასწავლებლებში, მხოლოდ საჭირო ხარჯი თითონ იკისროს. ვინც რუსულის საშუალებით სწავლას მოისურვებს, მათთვის ფული ხაზინიდან გადაიდოსო. დადგენილება კრებისა, დეპუტატებს სახარჯო ფული სანთლის ქარხნის თანხიდან მიეცესო, ექსარხოსს უარ უყვია ქარხნის. შემოსავალი საგანმანათლებლო საქმეებს უნდა ხმარდებოდესო. ჯავახეთ-ახალციხის საბლაღოჩინოს დეპუტატს კანდელაკსაც არ დართო ექსარხოსმა ნება კრებაზე მონაწილეობის მიღებისა. ჯავახეთ-ახალციხის ქართველ სამღვდელოებას დეპუტატად აურჩევია ბლ. მ. კაპანაძე, ხოლო იმის კანდიდატად მღ. კასრაძე. ექსარხოსის კანცელარიას მარტო მ. კაპანაძე მოუწვევია და იმას კი ავადმყოფობით მოსვლა არ შესძლებია. კანცელარიას დაუვალებია აღნიშნულ დეპუტატისათვის, თავის მაგივრად გამოგზავნოს წარსულ კრებაზე მყოფი წარმომადგენელი მღ. კანდელაკი. 12 დეკემბერს კანდელაკი კრებაზედ არ შეუშვეს და მოსთხოვეს რწმუნების ქაღალდი. როცა მღ. კანდელაკმა ექსარხოსს მოაგონა იმისი განკარგულება დეპუტატად გამოწვევისა, ექსარხოსმა მაინც ნება არ დართო და უთხრა, ჩემის ნებით კრებაზე რომ გაგიშვა, იტყვიან—მთავრობის მიერ შედგენილი კრებააო. თუ დეპუტატთა კრება მიგიღებს, მე წინააღმდეგი არ ვიქნებიო. დეპუტატებმა მიიღეს მ. კანდელაკი, მაგრამ ექსარხოსმა მაინც არ დაამტკიცა.

ყველა ამან კრება ძალზე ააღელვა. წარმოსთქვეს სიტყვები. ზოგმა შესაძლებლად სცნო კრების განგრძობა. აღნიშნეს, რომ ინსტრუქციით კრებას ნება აქვს მცოდნე პირები მიიწვიოს, მაგრამ ფაქტიურად ამის ნებას არ აძლევენ. ცოტა ხანს კრება შესწყდა კერძო თათბირისთვის და მერე ისევ განაახლდა. კრებამ გაიმეორა თავისი დადგენილებები და განაცხადა, გაგზავნოთ თავმჯდომარე ექსარხოსთან და მეორედ მოვითხოვოთ ჩვენი დადგენილების დამტკიცებაო.

კრებამ გადასდო პირველი საგნის განხილვა—ძველ შენობის სინოდის საკუთრებად გამოცხადების შესახებ და დაიწყო მეორე მუხლიდან. მეორე მუხლი შეეხება დედაენაზე სწავლის მოწყობას. როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, სინოდის რეზოლიუციაში ნათქვამია: თუ ქართულ ენაზე სწავლება დაიწყება, ხარჯი უნდა გადაიდოს საქართველოს საეკლესიო საზინიდან (**изъ грузинскаго церковнаго казначейства**) სიტყვები «საეკლესიო ხაზინა» საკამათოდ გადაიქცა. ვერავის გამოერკვია—სად არის და ვისთან ინახება ეს ხაზინა. კრებამ დაადგინა, მოიწვიოს ექსარხოსი ამ საკითხის განსამარტებლად. თავმჯდომარემ შეასრულა დადგენილება და პატარა ხანს შემდეგ ექსარხოსი კრებაზედ მოვიდა; ექსარხოსმა სთქვა: მესიამოვნება, რომ მომიწვიეთ, ამიტომ მოგისმენთ და განგიმარტავთო. «საეკლესიო ხაზინა» იმ ფულსა ჰქვიან, რომელიც ქართველ სამღვდელოებას ყოველ წლობით ეძლევა (100,000 მანეთამდე) სარგებლად საქართველოს საეკლესიო მამულების ჩამორთმევისათვისო.

დეკანოზი ნ. თალაკვაძე სთხოვს ექსარხოს განმარტებას: ვინ ააშენა, რომელ თანხიდან და ან ვისის თხოვნით ქალაქს გარედ სასულიერო სემინარიისთვის ახალი შენობა?

ექზარხოსი: ძველი სადგომი ადგილიათურთ სინოდს თავის საკუთრებად მიაჩნდა. რადგან შენობა მოძველდა, გადასწყვიტეს ქალაქს გარედ ახალის აგება. ფული ამ შენობისთვის სინოდმა რუსეთის სასულიერო წოდების ფონდიდან დახარჯა იმ ანგარიშით, რომ ძველს შენობას კარგ ფასად გაასაღებდა და ამით ფონდს შეავსებდა. შენობის ასაგებლად შესდგა განსაკუთრებული კომისია, რომლის წევრებად ქართველებიც იყვნენ.

დეკ. თალაკვაძე: აი მაგიტომ იყო საჭირო მცოდნე პირთა მოწვევა და საქმის ვითარების გაგება.

ექსარხოსი: ეხლა გამოირკვა, რომ ძველი შენობა ქართველ სამღვდელოებისა ყოფილა. ამისთვის სინოდმა დაადგინა, წინადადება მიეცეს სამღვდელოებას ახალი შენობა მიიღოს სემინარიის მოსათავსებლად, ხოლო იმის ნაცვლად სინოდმა დაუთმოს ძველი შენობა. თუ ასე არ მოიქცევით, სინოდი დახარჯულ ფულს აინაზღაურებს ახალ შენობის გაყიდვით.

დეკ. თალაკვაძე: ასი წელია საქართველო თავის ნებით შეუერთდა რუსეთს. მთავრობამ საქართველოს ეკლესიის უფლებები გააუქმა. საქართველოს მდიდარს ეკლესიას აურიცხველი მამული ჩამოართვა. ექსარხოსებმა ას ორმოც მილიონად სადირალი ეკლესიის ქონება მიმოხარჯეს და გაფლანგეს. ეკლესიის მამულებიდან ყოველ წლიური შემოსავალი რამდენსამე მილიონს უდრის და განა გასაკვირველია, რომ მთავრობამ ასი წლის განმავლობაში ერთი სემინარია აგვიშენა? მერე, სინოდმა-კი აგვიშენა რამე? კანონით სინოდი ეპარქიებში სახელმწიფო საშუალებიდან სამღვდელოებისათვის აშენებს სემინარიების სადგომებს და შესანახ ფულსაც იმავე წყაროდან აძლევს. ჩვენ, ქართველმა სამღვდელოებამ შენობა ჩვენის ხაზხრით შევიძინეთ და აქამდე სემინარიისათვის სინოდს დაუთმეთ. სინოდმა არა თუ შენობა აგვიღო, სხვა კუთხის მცხოვრებთ, არამედ შესანახ ფულსაც ჩვენ გვხდით...

ექსარხოსი: შესანახ ხარჯს ხაზინა იძლევა ტფ. სემინარიისათვის და ეგ შეცდომაა.

დეკ. თალაკვაძე: სინოდი მესამედს არა ხარჯავს იმისას, რაც ჩვენ გვხდება სასწავლებლების შესანახად. შარშანწინ სემინარიის ხარჯად სინოდმა გაიღო მხოლოდ 480 მან., მაშინ როდესაც სემინარიას ასჯერ ამაზე მეტი სჭირდება. ეს ფაქტი მით უფრო უცნაურია, რომ აქაურ სემინარიაში არა მარტო ქართველები, არამედ რუსეთის შიდა გუბერნიებიდანაც მრავალი მოწაფე რუსი და სხვა ტომისა სწავლობს. იმ მამულების შემოსავლიდან, რომელიც ჩამოერთვა ჩვენს ეკლესიას, ერთი სემინარია კი არა, რამდენიმე უნივერსიტეტი და აკადემია გაიხსნებოდა. სინოდი კი ერთ სემინარიისათვისაც არ გვაძლევს სახსარს.

ექზარხოსი: ეგ თქვენი ნებაა. სინოდი ძალას არ დაგატანთ: თუ ძველს შენობას არ დაუთმობთ, ახალს სადგომს თითონ მოიხმარს.

დეკ. თალაკვაძე: თქვენის კანცელარიის განკარგულებით დეპ. კანდელაკი 300 ვერსის მანძილიდან ჩამოვიდა წარმომადგენლად და ჩვენც მივიღეთ, მაგრამ თქვენ აღარ ინებეთ დამტკიცება.

ექზარხოსი: მ. კანდელაკის შესახებ ჩემს რეზოლიუციაში გარკვევით იყო ყოველივე ნათქვამი და განმარტება მეტად მიმაჩნია.

დეკ. თალაკვაძე: თქვენის ინსტრუქციის ძალით ჩვენ მოვიწვიეთ მცოდნე პირები, მაგრამ თქვენ არ ინებეთ ჩვენის დადგენილების დამტკიცება.

ექსარხოსი: მცოდნე პირების მოწვევა მეტად მიმაჩნია, რადგან ჟურნალურ დადგენილებებში ყველაფერი განმარტებულია. მაინც და მაინც თუ საჭიროა მცოდნე პირი, აი სემინარიის ეკონომოსი მღ. ჯაოშვილი მოიწვიეთ. თორემ თითოეულმა დეპუტატმა რომ 20 კაცის მოწვევა მოინდომოს, კრება კი არა, ანარქია გაიმართება.

დეკ. თალაკვაძე: ჯაოშვილს ძალიან კარგად ვიცნობ—ჩემთან სწავლობდა, იმაზე ნაკლებ არც ერთი ჩვენგანი არ არის საქმესთან გაცნობილი; ჩვენ გვინდოდა უფრო მცოდნე პირები მოგვეწვია, მაგრამ ამის ნებას არ გვაძლევთ. საზოგადოდ არ შემიძლიან არ აღვნიშნო, რომ კრება ხელფეხ შეკრულია. განა იმ პირობებში შეგვიძლიან საქმის აწონ დაწონვა და მიუდგომლად გადაწყვეტა? ჩვენ სამღვდელოების წარმომადგენელნი ვართ; უნდა ვეხოთ ისეთს საკითხებს, რომელიც ყველასათვის საინტერესოა. რატომ არ უნდა იცოდნენ ყველაფერი ჩვენმა გამომ ზავნელებმა? რად უნდა ვიყვნეთ კარ-ჩაკეტილში? რად არ შეგვიძლიან მცოდნე პირების მოწვევა? ყველა ამაზე უარს ვკვეუწნებით. ეს მე მიმაჩნია კრებაზე ზედგავლენის მოხდენად და იმის ხელ-ფეხის შეკვრის სურვილად.

მცირე კამათის შემდეგ ექსარხოსი კრებიდან წავიდა.

კრებამ განაგრძო საქმების განხილვა. შეეხნენ ძველ შენობის დათმობას. მღ. ბარნაბიშვილმა სთქვა, ძველ შენობას ვერც ვერავის დაუთმობთ და ვერც ვისმე გაუცვლითო.

ბერძნის მღვდელმა კარიბოვმა იკითხა: შენობა ადგილიათურთ ქართველ სამღვდელოებისაა მარტო თუ ქართ-კახეთის ეპარქიისაო? თუ ეპარქიისაა, მაშინ ჩვენ, ბერძნებიც, მონაწილენი ვიქნებითო.

დეკ. ნ. თალაკვაძემ განმარტა. სხვათა შორის მან სთქვა: საქართველოს ეკლესია წასულ საუკუნის მეორმოცე წლებში ჯერ კიდევ ისე არ იყო გაცარცული და მან 82,000 მან. მისცა შენობაში ზუბალაშვილს, ხოლო მიწა მოუცვალა და დაუთმო ის ადგილი, სადაც ამ ჟამად სამხედრო შტაბის სასტამბო შენობაა. ჩვენის აზრით, ამ ადგილს ვერავის დავუთმობთ, რადგან იგი საკუთრებაა არა მარტო აღმოსავლეთ, არამედ დასავლეთ საქართველოს სამღვდელოებისა და ამიტომ ნებაც არ გვაქვს. გავიმეორებ, რომ სინოდი ვალდებულია სასულიერო სასწავლებლისათვის საკუთარი შენობა ააგოს. ეგებ გაინტერესებთ, რატომ არ გადაიტანეს ეს ორი წელიწადია ახალს შენობაში სემინარია. 1906 წლის მაისში სემინარიის საპედაგოგიო საბჭომ დააყენა საკითხი შენობის გადატანის შესახებ. მაშინდელმა რექტორმა და ეხლანდელმა ბაქოს ეპისკოპოსმა განაცხადა, სემინარიის გადატანა არ შეიძლება ახალს ბინაში, რადგან იგი უდაბნო ადგილშია და ამ არეულს დროს საშიშია იქ ცხოვრება. ეს მით უმეტეს, რომ 70% ქართველობისა სამტროდ აღელვებულია რუსების წინააღმდეგ. ახალს შენობაში რომ გადავიდეთ, შეიძლება ქართველმა მოსწავლეებმა აღმზრდელებსა და მასწავლებლებსაც ყელები დაგვჭრანო. ძველ შენობას ვერავის მივცემთ. იგი ეგვიძლიან საგაჭრო საქმეს ქირით დაუთმოთ. აქედან სამღვდელოებას 50 ათასი მან. შემოუვა. ამას საგანმანათლებლო საქმისათვის მოვიხმართ, რადგან ჩვენ, ქართველები, ხაზინას გერებად გყავართ და ჩვენს სწავლა-აღზრდაზე ნაკლებ ვინმე რამეს ფიქრობს. ახალი შენობა სინოდმა, ჩემის აზრით, სემინარიისათვის უნდა დასტოვოს, რადგან თუ სხვა ეპარქიებში თავის ხარჯით აშენებს და ინახავს სასწავლებლებს, ჩვენ რადა დავაშავეთ?

ამის შემდეგ ბერძენმა და რუსმა დეპუტატებმა განაცხადეს: თუ ეხლავე ქართველი სამღვდელოება არ გაგვაგებინებს, ჩვენ მონაწილენი ვართ თუ არა შენობაში, ამ საკითხის გარჩევაში მონაწილეობას არ მივიღებთ. ჩვენის აზრით, რადგან ბერძნები 1828 წლიდან ეწევიან ხარჯს სემინარიის შესანახად, ჩვენც მონაწილედ უნდა ვითვლებოდეთო. ამას მდივანმა კრებისამ მიხაილოვსკიმ დაუმატა: სინოდმა რამდენჯერმე ძველი შენობა შეაკეთა და, მამასადამე, რუსი სამღვდელოებაც მონაწილე უნდა იყოსო.

ამათ უპასუხა მღ. ხახიშვილმა და გამრეკელმა: შენობა რომ ქართველების საკუთრებას შეადგენს, ამის დამამტკიცებელი საბუთი ნასყიდობის ქაღალდია ზუბალაშვილისაგან, ქართველ სამღვდელოების სახელზე მიღებული, და თუ ბერძნებს ან ვინმეს საბუთები აღმოაჩნდება მის საკუთრებაზე, ჩვენ უარს როგორ ვეტყვით. მღ. თოთიბაძემ, ირ. ოქროპირიძემ და ზოგმა სხვამაც განაცხადეს, რომ კამათისათვის ასეთ კაჭრულ ხასიათის მიცემა უხერხულია. შენობა საქართველოს ეპარქიის სამღვდელოებას ეკუთვნის და რა საჭიროა ამაზე ბევრი ლაპარაკიო. მღ. იუნიცკიმ და მიხაილოვსკიმ აღტაცებით წამოიძახეს, რადგან შენობა ეპარქიისა ყოფილა, გაყიდვის დროს რუს მღვდლებსაც ერგებათ ულუფაო.

კამათი დიდხანს გაგრძელდა. დასასრულ კრებამ, 27 ხმით წინააღმდეგ 5 კაცისა, დაადგინა: არავის დაეთმოს საქართველოს სამღვდელოების საკუთარი სახლი, ხოლო სემინარიის ახალის შენობის შესახებ იშუამდგომლოს სინოდის წინაშე, რომ იგი დაეთმოს სემინარიას. 7 ბერძენმა მღვდელმა კენჭის ყრაში მონაწილეობა არ მიიღო. იმაზე შენიშნეს: თუ მონაწილედ თავი მოგაქვთ, რატომ კენჭის ყრაშა არ ერევით და არ გინდათ თქვენი აზრი გამოსთქვათ—დაუთმოთ შენობა თუ არა სინოდსაო. განა ჩვენი ხელით გინდათ ნარის მოგლეჯაო? მაშინ წამოდგა მღ. სევასტიანოვი, ამხანაგებს სიჩუმისათვის პროტესტი გამოუცხადა და კრების უმრავლესობის დადგენილებას მიემხრო.

ხანგრძლივი კამათი გამოიწვია მეორე საკითხმაც: ქართულს ენაზე სწავლებამ. კრებამ დიდის უმრავლესობით, რუს დეპუტატების წინააღმდეგ, დაადგინა—სწავლა სასწავლებლებში დედა ენაზე მოეწყოს და ეს სავალდებულო იყოს ქართველებისათვის. ამავე კრებაზედ ამორჩეულ იქმნა კომისია, რომელმაც რევიზია უნდა უყოს საეპარქიო სანთლის ქარხანას.

## ქართველთა შორის წ. კ. გ. საზოგადოების საჭიროებანი

(წერილი რედაქციის მიმართ)

ვინ არ იცის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს წერა-კითხვის გავრცელებას ერის წინ-მსვლელობასა და კულტურულ აღორძინებაში. ვინ არ იცის, რომ დღეს ჩვენ ჩამორჩენილ ხალხს სწავლა-განათლება ისე ესაჭიროება, როგორც წყალი და ჰაერი; დღეს, როდესაც ჩვენი ყოველს მხრივ შევიწროებული და ბეჩავი ხალხი ათასნაირ გაჭირვება-დაბრკოლებასა და განსაცდელს მედგრად უნდა ებრძოლოს. ხოლო ამ დიად და საძნელო ბრძოლისთვის ხალხს უნდა მტკიცე, საიმედო იარაღი. ეს საიმედო იარაღი სწავლა-განათლებაა, დროის შესაფერ საჭირო და სასარგებლო ცოდნით აღჭურვა, რაც მტერსაც დაამარცხებს და ხალხის კეთილ-დღეობასაც მკვიდრს საძირკველს ჩაუყრის. ხალხის სწავლა-განათლების საქმეში უმთავრეს როლს დღეს ჩვენში მთავრობა თამაშობს, მაგრამ ყველამ კარგად ვიცით, თუ საითკენ მიჰყავს ხალხი მთავრობის მზრუნველობას. ჩვენ უნდა ვეძიოთ საკუთარი გზა, უნდა ვიაროთ საკუთარის თავით, სხვისი იმედი არ გვარგია. ჩვენთვის საჭირო და სასარგებლო სწავლა-განათლების გავრცელებას ხალხში თვითონ ჩვენ უნდა მოვკიდოთ ხელი. ვინ უნდა იკისროს საქმის მეთაურობა? უეჭველად ინტელიგენციამ. ხალხს სწავლა-განათლება სწყურია, მას ამ მხრივ საქმის მოწყობა სურს. აი, სწორედ ქართველი ინტელიგენციაც. გვერდით უნდა ამოუდგეს ხალხს, მხარი მხარს მისცეს და დაატრიალოს ცოცხალი, ნაყოფიერი მუშაობა. არავითარ პარტიულ ტენდენციას აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს, თორემ ადვილად შესაძლებელია, რომ ხალხი განსაცდელში ჩავარდეს. თუ არ გვინდა, რომ ხალხმა ზურგი გვაქციოს, უნდა შევერთდეთ განურჩევლად წოდება-მდგომარეობისა, რწმენა-მიმართულებისა, შევქმნათ ხალხისთვის ერთი სული და გული, ვეცადოთ მივსცეთ ხალხს ეროვნული სკოლა, მივაწოდოთ საჭირო ცოდნა და მოუმზადოთ სასურველი მომავალი.

ამ საშვილი-შვილო აზრის განხორციელებას დღეს ჩვენში მიზნად ისახავს ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოება. მაგრამ ყოველ საზოგადო საქმის განხორციელებას თავ-გამოდებულ, გონივრულ მუშაობასთან ერთად სჭირია ნივთიერი საშუალებაც, ურომლისოდაც ვერავითარი კულტურული დაწესებულება ვერ იბოგინებს. ამ მხრივ ჩვენს წ. კ. გ. საზოგადოებასაც განსაცდელისაგან თავი ვერ დაუღწევია. ყოველი ჩვენგანი ვალდებულია შეძლებისდაგვარად ეძიოს ხალხის განმანათლებელ დაწესებულებისთვის ქონებრივ დახმარების სახსარი. ამ აზრით, ჩემის მხრივ, ერთი რამ მიმაჩნია წ. კ. გ. საზოგადოების ნივთიერ გაღონიერების საშუალებად.

1. საზოგადოების ნივთიერი შეძლება დამოკიდებულია გულ-შემატკივარ წევრების სიმრავლისაგან. წევრების გამრავლება ადვილად შესაძლებელია ამნაირად: ა) საზოგადოებამ გამოსცეს იმდენი საწევრო დავთარი (**КВИТКОВАЯ КНИГА**), რამდენიც წევრი ჰყავს; ბ) დავთრის შესავალში დაიბეჭდოს საზოგადოების მიზნის განმარტება და ხალხისადმი მხურვალე მოწოდება შესახებ იმისა, რომ ჩაეწერნენ საზოგადოების წევრებად და მით მოეშველნენ საზოგადოებას. დავთარი დანაწილდეს კვიტანცია-კუპონებად, რომლის ნიმუშს ქვემოდ მოვიყვანთ; გ) ყოველ წევრს გადაეცეს თითო დავთარი და დაევალოს, იმდენი გაისარჯოს, რომ თითოეულმა თითო ახალი წევრი შესძინოს საზოგადოებას. თავისი საწევრო გადასახადი წლიური თუ ერთდროული, გადასცეს დავთრიანად ახალს წევრს, რომელსაც ჩამოართმევს დავთრიდან ამოხეულ ხელმოწერილ ორ ბარათს საწევრო ფულის და დავთრის ახალ წევრზე გადაცემის დამამტკიცებელს; ერთს ჰგზავნის წ. კ. საზოგადოებაში, მეორეს კი თვითონ ინახავს, როგორც იურიდიულ საბუთს. ახალ წევრს ევალება შესძინოს საზოგადოებას ერთი თავის ნაცნობიც და მოიქცეს ისე, როგორც პირველი. უკანასკნელი ახალი წევრი ეძებს ახალს სხვას, მიღებულ თანხას და დავთარს აბარებს ამას და ხელ-მოწერილ ბარათის საშუალებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ატყობინებს საზოგადოებას ახალ შეძენილ წევრის შესახებ. ეს წესი მსწრაფლად იკიდებს ფეხს ხალხის ფართო მასსაში და წევრების რიცხვი მრავლდება დაუბრკოლებლივ. ყოველ ახალ ახალ წევრის შეძენა და საწევრო გადასახადის რაოდენობა აღინიშნება გაზეთებში, რათა ყველას საშუალება მიეცეს თვალყური ადევნოს, თუ ვის ხელშია უკანასკნელად დავთარი და ფულის თანხა. ყოველი ახალი წევრი აგენტია საზოგადოებისა, ახალი წევრის მომპოვებელი კი ზედამხედველია მისი. ფულის და დავთრის წარდგენა წ.-კ. საზოგადოებაში სავალდებულოა პირველ მოთხოვნილებისამებრ. აღწერილი წესი დაუსრულებლივ ამრავლებს საზოგადოების წევრებს; დ) ის, ვინც საზოგადოების წევრობაზე უარს იტყვის და ხალხს ხელს არ გაუწვდის, ჩაიწეროს წ.-კ. გ. საზ. „შავ წიგნაკში“, რომელიც უეჭველად უნდა ვიქონიოთ სამუდამოდ, მასთან წევრობაზე უარის-მთქმელის სახელი და გვარი გამოქვეყნდეს გაზეთებში საყოველთაოდ.

ნიმუში „ქ. შ. წ.-კ. საზოგ“ დავთრისა:

---

წიგნი 1.

წერა-კითხვის გამ. საზოგადოების საწევრო ბარათი № 1.

ვკისრულობ საზოგადოების წევრობას და ვალდებული ვარ შემოვიტანო ყოველ წლობით „ „ მ. „ „ კ. ერთ დროულად „ „ მ. » » კ. 1907 წ. 25 დეკემბერს სპირიდონ ნორაკიძე.

საწევრო შემოტანილი » » მ. » » კ. და საზოგადოების საწევრო დავთარი № 1. მივიბარე საზოგადოების გადასმცემად.

ივანე მალალაძე.

---

წიგნი 1.

წერა-კითხვის გამ. საზოგადოების საწევრო ბარათი № 1.

1907 წ. 25 დეკემბერს დავივალე წევრობა საზოგადოებისა თქვენ ს. ნორაკიძის წინადადებით. მივიბარე თქვენგან დავთარი № 1 საზოგადოებისა და ფული » » მ. » » კ. და ვალდებული ვარ მოთხოვნილებისთანავე გადმოგცეთ თქვენ ან ვისაც თქვენ მიჩვენებთ.

ივანე მალალაძე.

---

წიგნი 1.

წერა-კითხვის გამ. საზოგადოების საწევრო ბარათი № 1.

1907 წ. 25 დეკემბერს მე ვიკისრე წევრობა საზოგადოებისა ს. ნორაკიძის წინადადებით. მივიღე იმისაგან საწევრო ფული » » მ. » » კ. და საწევრო ბარათი № 1, მასთან ვალდებული ვარ ერთი ჩემი ნაცნობი წევრად შევსძინო საზოგადოებას.

ივანე მალალაძე.

---

2. საზოგადოების წევრების გამრავლებისათვის საჭიროა შემოკლდეს საწევრო გადასახადი. ჩემის ფიქრით, უმჯობესია წევრობის მსურველ მიწის მუშებისათვის დაწესდეს მინიმუმი 25 კ., ქალაქში მშრომელთათვის 50 კ., დანარჩენ შეძლებულებისათვის მინიმუმი 1 მან.

მარტო შეწირულებათა მოგროვებით, სასეირნოების გამართვით, და სხვა მოწყალებათა თხოვნით ჩვენ შორს ვერ წავალთ. უნდა მივაქციოთ დიდი ყურადღება ხალხის ფართო მასსას.

3. სწავლ-განათლება ვრცელდება ქაღალდის საშუალებით. დღეს სხვა და სხვა სახის საწერ ქაღალდს აუარებელი მომხმარებელი ჰყავს ჩვენში. „წ.-კ. საზოგადოებამ პირდაპირ, უშუამავლოდ დაიჭიროს საქმე ქაღალდის მექარხნესთან, თავის ფირმით გამოაცემინოს სხვა და სხვა საწერი ქაღალდი, თვითონ იკისროს კომისიონერობა და დაკლებულ ფასებში ასაღოს ქაღალდი როგორც წევრებს შორის, ისე მთელ საქართველოში. ამით საზოგადოება ბევრს მოიგებს.

დროა უკუვაგდოთ უანგარიშობა და საქმეს შევუდგეთ გონივრულ ანგარიშით.

**სპირიდონ ნორაკიძე.**

---

რედაქტორ-გამომცემელი **ე. ბვალიშვილი.**


# განცხადებანი

## ჭიათურაში

იყიდება ძრიელ ხელსაყრელ პირობებში „ჯარბელაში“ საუკეთესო „პლატფორმა“ შავი ქვით. მოწყობილია აგრეთვე „მარგანეცის“ ჩამოსაყრელი „სპუსკი“.

ადრესი: Тифлисъ, Барятинская № 2, Справочная контора «Трудъ» ანუ ჭიათურაში ხატიევს. (4—503—1)

აქციონერთა საზოგადოება „გრამოფონი“

ტფილისის განყოფილება

გოლოვინის პროსპექტი, № 9.



გრამოფონი პირველია, როგორც მოდისა და თან საუკეთესო საჩუქარი, რისთვისაც მზადა გვაქვს მომავალ

**შობის დღესასწაულისათვის**

ჩვენის წარმოების საქონელი და ვთხოვთ პატივცემულ საზოგადოებას მობრძანდნენ საზოგადოების მაღაზიაში: გოლოვინის პროსპექტი, № 9 და დარწმუნდნენ, რომ გვაქვს დიდ-ძალი **ახლად გამოშვებული აპარატები, უკანასკნელ კონსტრუქციისა, მკვიდრის მექანიზმით** სულ ახალ მოდელებისა და ყოველგვარ ასორტიმენტით. ფ ა ს ე ბ ი გადაჭრილია რუსეთისა, კავკასიისა და კასპიის იქითა მხრისათვის. ვინც სხვა ფირმის ფირფიტებს ყიდულობს, ზარალობს. მრავალ წელთა აგანმავლობაში შეძენილ რენომეს შესარჩენად ვალდებულად ვრაცხთ ჩვენს თავს არა თუ საუკეთესო საქონელი მივაწოდოთ საზოგადოებას, არამედ, **მოლაპარაკე მაშინის** მოყვარულთა და მეგობართა ინტერესების დასაცველად, უნდა გავაფრთხილოთ კიდეც, რომ ყალბი მაშინები არ შეიძინონ სხვა ფირმებისა, მაგალითად ახალ საზოგადოების მელიდოფონისა. დიდი განსხვავება მელიდოფონის და ჩვენის ფირმის ფირფიტებ შორის ყველასთვის თვალსაჩინოა. სიტყვა „გ რ ა მ ო ფ ო ნ ი“ შეკრებელობითი სახელი კი არ არის, არამედ საკუთარი **პატენტიანი** სახელია ჩვენის ფირმის საქონლისა. სიყალბის თავიდან ასაცილებლად ვაქცევთ საზოგადოების ყურადღებას იმას, რომ ჩვენ ნაწარმოებ საქონელს აქვს ჩვენი საფაბრიკო ნიშანი.




გრამოფონი ოჯახში არა მარტო გამრთობია, არამედ აღმზრდელიც. უნდა ემებდეთ **ლირსებას** და არა **სიაფეს**.

მსურველებს შეუძლიანთ მობრძანდნენ მაღაზიაში (გოლოვ., 9) გრამოფონების გამოსაცდელად. კატ ლოგები და ფირფიტების სია უფასოდ. გვაქვს ფირფიტები სომხურ, ქართულ, სპარსულ-თათრულ და სხვა ენებზე.

საგანგებო ყურადღებას იქცევს განთქმულ მომღერლების ფირფიტებში: ადელინა პატისა, მელბასი, ბორონატის, ცელესტინა ბონინსენის, ზემბრიხის, არნოლდსონის, კურცის, ფიგნერის, გილდიკეის, კარუზოს, რუფოს, ბატისტინის, შალიაპინის, სობინოვის და სხვათა. (15—768—5)

# ავადმყოფებს და სესტემს „სპერმატინი“

თუ თქვენ დასუსტებული ხართ ფიზიკურ ან გონებრივ მუშაობით, თუ ჯანი გაიტეხეთ, ნერვები დაისუსტეთ ან ესა თუ ის სენი გჭირთ, **სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემით**: არის „სპერმატინი“. იგი სასურველ შვებას მოგცემთ. მას არ შეიძლება მედიკამენტი ვუწოდოთ, რომელიც ერთ რაიმე ადგილზე მოქმედებს, არა! ეს ნივთიერება სრულიად უვნებელია, იგი ცხოვრების **ელიქსირია**, იგი **ძალის მომმატებელია**. „სპერმატინი“ მოქმედებს სისხლზე და აახლებს მას, აშორებს რა მავნე ელემენტებს. ჰხვდება რა იქ, სადაც უჯრედი ორგანიზმში რაიმე სენის ან სიბერის გავლენის ქვეშ იმყოფება, „სპერმატინის“ ნაწილები, ჯანმრთელობის დარაჯნი, იწყებენ ნაყოფიერ მუშაობას უჯრედების აღსადგენად, აწვდიან მას ახალ სისხლს და ახალ ძალას და ამით შეძლებას აძლევენ ბრძოლისას როგორც სენთან, ისე ყველაფრის გამანადგურებელ დრო-ჟამთან. «**სპერმატინი**» შედეგია **ბრაუნ-სეკარის** შესაიშნავ აღმოჩენისა. ჰშველის ყველაფერს: **სისხლნაკლებობას, ძალის სისუსტეს სიბერეში, მარაზმს, დაუძლურებულ ნერვიულ სისტემას, მამაკაცის სიუძლურეს, გადაჭარბებულ დაღლილობას გონებრივ და ფიზიკურ მუშაობის დროს**, ონანიზმის შედეგს და წითელ ქარა, სიფილისს, სურავანდს, დამბლას, სქესობრივ მოჭარბებულ ურთიერთობის შედეგს, ხერხემლის ტვინის სატკივარს, პლევს, ქარებს, ქრონიკულ მუცლის შეკვრას და სხვას. ეს საშუალება საუკეთესო ნაყოფს იძლევა.

**ავადმყოფთა წერილები.**

**ბ. ი. გ. ახობაძეს**. თითქმის მთელი ხუთი წელი ვიტანჯებოდი სისხლის ნაკლულევანებით, უკანასკნელ წელიწადს ძლიერ დავსუსტდი და შევიქენი ნამეტანი ნერვიანი. რაც დრო გადიოდა, უარესად ვხდებოდი და მაკლდებოდა სიცოცხლე. დავკარგე მადა, ძილი და ენერგია. დამიწყო ფეხებისა და თავის ტკივილმა. ამ ხუთის წლის განმავლობაში ვღებულობდი სხვა და სხვა წამლებს, გამოწერილს სხვა და სხვა ექიმებისაგან, მაგრამ, ამაოდ ჩამიარა ამ წამლობამ, რის გამოთაც შემომაკლდა წამლობის სახსარი და დავკარგე მორჩენის იმედი. ამის შემდეგ გავიგე, რომ ტფილისში იყიდება წამალი ყოველ-გვარ ავადმყოფობისა „სპერმატინი“ ბატონ ახობაძესთან, წარმომადგენელს მოსკოვის ლაბორატორიისა ივანოვის. მოსკოვის ქუჩაზე მეოთხე ნომერში. ვიყიდე ერთი ფლაკონი და ვიწყე მისი მიღება. ერთის კვირის განმავლობაში ვიგრძენი სატკივრის შემსუბუქება. ამის შემდეგ განვთავისუფლდი ყველა იმ ავადმყოფობისაგან, რომლებითაც ვიტანჯებოდი ხუთ წელიწადს და იმედი მაქვს, რომ „სპერმატინი“ მომანიჭებს ჩემს დაკარგულს ჯანს. ამით დავივიწყებ ჩემს წარსულს უბედურებას თუ რომ გადამარჩენს ექიმების **რეცეპტებს და ვიზიტებს**, ჩემთვის უსარგებლოს. პატივისცემით: **გ. მნაცაკანოვისა**, ტფილისი, 22 აგვისტო.

**ბ. ი. გ. ახობაძეს**. ტფილისში, მოსკოვის ქუჩა, № 4. მოწ. ხელმწ. ბ. გ. ახობაძე, წავიკითხე თქვენი განცხადება გაზეთ „ჩვენ გზაში“, რომ თქვენ კანტორაში იყიდება „სპერმატინი“ ლაბორატორიის ივანოვისა, რომელიც არჩენს სხვა და სხვა ავადმყოფობას. ჩვენი ავადმყოფობა შემდეგი იყო: ორი წელიწადი ავად ვარ ნერვების აშლილობით, გულის ფრიალით, სისუსტითა და მომდიოდა ხშირად გულის წუხილი. ნამეტანი რევმატიზმებით, წელის ტკივილი, და ძვლების ტეხვა. როდესაც მივიღე ოთხი ფლაკონი თქვენი სპერმატინი“, სულ გავნთავისუფლდი მოხსენებულს სატკივრებისაგან და ამ თქვენ წამლის მიღებამდე ვიხმარე ბევრი წამლები, გამოწერილი ექიმებისაგან, მაგრამ არა მიშველა რა. კიდევ დიდს მადლობას გწირავთ, ბ. ი. ახობაძევ, და ვიქნები მუდმივ თქვენი მლოცველი ჩემის შველისათვისა.

ადრესი ჩემი ქუთაისის გუბ. და მისი მაზრა სოფ. ვანი, **ივანე ბალანჩივაძე**.

მოწ. ხ. **ბ. ი. ახობაძევ**. სიტყვა ვერ გამომიძებნია მადლობის გამოსაცხადებლად თქვენ მიერ გადმოცემულ „სპერმატინისათვის“, ლაბორატორიის ი. ნ. ივანოვისა. 2 წელზედ მეტს ვიტანჯებოდი ძალის სისუსტით, გულის ფრიალით, ხველებით, ნერვების დაუძლურებით, აგრეთვე ხელების კანკალით. როცა მივიღე მარკოზ კვარანცხელიასაგან ერთი ფლაკონი, უკედ გავხდი. მერე ვიხმარე მეორე და მესამეც. ეხლა, ერთის სიტყვით, სულ განვახლდი. ყველა ამისთვის გულწრფელად გმადლობთ და ღმერთს ვევედრები თქვენთვის. თქვენი პატივის მცემელი **ვიჩი ბადფენძე**. სოფელ ოტომაიას მცხოვრები, სოხუმის ოლქის და გალის ნაწილისა. 12 ოქტომბერი, 1907 წ.

„სპერმატინი“ განვლილი წლის ბოლომდე ვრცელდებოდა ამ სახელით «სპირმანი“ ნ. ნ. ივანოვისა და ამ. სახელით, ეხლა-კი, ნ. ნ. ივანოვის სიკვდილის შემდეგ, იგი მზადდება იმის ძმის ი. ნ. ივანოვის ლაბორატორიაში რეცეპტის შეუცვლელად. „სპერმატინ“-მან. ნ. ივანოვისამ, დღეს-კი «სპერმატინმა» ი. ნ. ივანოვისამ დაიმსახურა აუარებელი სამადლობელო წერილი, ოქროს მედალი და უმაღლესი ჯილდო რუსეთში, პარიზში, ბრიუსელში.

უფრთხილდით სიყალბეს და მიბაძვას. წიგნაკები უფასოდ. ფასი ერთი ფლაკონისა 2 მ. 40 კ. გაგზავნა ერთიდან 4 ფლაკონამდე 40 კ. 5-დან 10-მდე 65 კ. შუა აზიაში ორჯელ ძვირია, აღმოსავლეთ ციმბირში—სამჯერ. გამოწერა შეიძლება ფოსტით, მხოლოდ წინდაწინვე უნდა გამოიგზავნოს ბე ფოსტის მარკებით ან ფულით—მესამედი ფასისა.

**ბ-ნი კალენიჩენკოს**, ყოფილი წარმომადგენელი „სპერმატინის“ გაყიდვაში, ეხლა ამ თანამდებობაში არ იმყოფება. ჩემს ლაბორატორიასთან „სპერმატინის“ მომზადების საქმეში მას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს. მსურველს, ი. ნ. ივანოვის „სპერმატინის“ ვთხოვთ მიმართონ ჩვენ წარმომადგენელს მთელ კავკასიისათვის ი. გ. ახობაძეს. ადრესი: თფილისი, ვერა მოსკოვის ქუჩა სახ. № 4. ან „სპერმატინის“ კანტორის განყოფილება: ბაქოში, ი. გ. ახობაძეს სტარო-პოლიციის ქუჩ. სახ. ლაზარევისა № 14.

**წარმომადგენელი კავკასიისთვის ი. გ. ახობაძე**. ტფილისი, მოსკოვის ქუჩა, ს. გაბაევისა № 4. **უბეჭდ საქონელი არ იგზავნება.** (0— 5.—16)

—✦ პასუხს ვაგებთ საქონლის სიკარგისათვის! ✦—



# კალოშებისა

და სხვა რეზინის საქონლისათვის

## უმაღლესი ჯილდო (GRAHD-PRIX)

პარიზის გამოფენაზე მიესაჯა რუსეთში მხოლოდ „რუსეთ-ამერიკის სარეზინო მანუფაქტურის ამხანაგობას“, რომელიც დაარსდა 1860 წელს.

სთხოვენ მუშტარს რეზინის კალოშების ყიდვის დროს ყურადღება მიაქციოს ბეჭედს ძირზე, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვა „ს.-პეტერბურგს“, რომელიც წმინდად არის შემოვლებული.

ნარდად საქონლის ვაჭრობა ხდება სავაჭრო სახლში

## ლეოპოლდ ნეიშელლერი

პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ოდესას, ეკატერინბურგს

## ტფილისში,

დონის როსტოვს, ხარკოვს, ირკუტსკს, კიევს და ტაშკენტში.

აქვე ნარდად იყიდება **ფეხსაცმელი** პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა.

იქვეა საწყობი რუსეთისა და საზღვარ-გარეთელ ტყავისა. (100—98)